

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გოჩა მდინარაძის ანგარიში 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

მსურს, გაწეული საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიშის წარდგენა დავიწყო მადლობით იმ დიდი ნდობისთვის, რომელიც 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე გამოხატეთ დაბა ურეკის და წვერმაღალის ამომრჩეველმა.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად მპგ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-მ წარმადგინა #14 და #15 საარჩევნო უბნებზე მაჟორიტარ კანდიდატად, თქვენს მიერ გამოცხადებული ნდობის შედეგად ვარ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. უფლებამოსილების განხორციელების პირველივე დღიდან, ვარ ფრაქცია "ქართული ოცნება-მრეწველები"-ს წევრი, ასევე საკრებულოს ორი კომისიის: სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის, საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის წევრი. საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ჩატარებულ 13 სხდომაში, რომლის ფარგლებში მიღებულ იქნა 91 განკარგულება და დამტკიცდა 60 დადგენილება. ასევე მონაწილეობა მივიღე , "ქართული ოცნება-მრეწველები"- ის მიერ გამართულ ფრაქციის 9 სხდომაში, სადაც განვიხილეთ მუნიციპალიტეტში არსებული მწვავე პრობლემებთან ერთად, დაბა ურეკის მაცხოვრებლების მიერ 2018 წლის 28 თებერვალს, ფრაქციაში შემოსული წერილი, რომელიც ეხებოდა ზაფხულის სეზონის დროს დამსვენებლების და ადგილობრივი მოსახლეობის წუხილს ცენტრალური გზის გადატვირთულობასთან დაკავშირებით. აღნიშნულ წერილზე ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველებ“-მა ადგილზე გავეცანით პრობლემას, რომლის შესახებ ინფორმაცია გადაცემული იქნა მერისთვის, ასევე გუბერნიასა და მაჟორიტარ დეპუტატის ბიუროსთვის. პრობლემის მოგვარების საკითხი დაწყებულია.

ასევე აქტიურად ვმონაწილეობდი კომისიის სხდომებში, სადაც განვიხილავთ ინიცირებულ პროექტებს, მოსახლეობის წინადადებებს და პეტიციებს. საანგარიშო პერიოდში არაოფიციალური შეხვედრების გარდა, მაქვს ჩატარებული ამომრჩევლებთან გეგმიური შეხვედრები და მიღება. ამ შეხვედრების დროს განხილული იყო სხვადასხვა სახის პრობლემური საკითხები. მათ შორის გამოვყოფდი სასმელი წყლის პრობლემებს დაბაში. ჩემი ჩართულობით მოგვარებული იქნა წვერმაღალის დასახლებაში წყლის ძრავის შესყიდვა თავისი ელექტრო მოწყობილობით 1 600 ლარის ღირებულების, მსგავსი ძრავი შევიძინეთ დაბა ურეკში და მესხის ქუჩის

მოსახლეობისათვის შეძენილი იქნა წყლის ნასოსი 350 ლარის ღირებულების. ასევე მოხდა წყლის 20 ტონიანი რეზერვუარის შეძენა. მეორე რაიონში გაიწმინდა სანიაღვრე არხი 400 მ სიგრძის, ე.წ. ზედა ურეკის ახალგაზრდებისთვის შევიდინე ტენისის მაგიდა.

შეხვედრების დროს დასმული პრობლემები ძირითადად ეხებოდა შიდა გზების მოწესრიგებას და სამელორაციო არხების გამართვას, გაზიფიცირების საკითხებს, სანაგვე ურნების დადგმას, დაზიანებული სანიაღვრე არხების კალაპოტებისა თუ სათავე ნაგებობების მოწესრიგებას და სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლების პრობლემის მოგვარებას. ასევე სოციალურად დაუცველები ითხოვდნენ ფინანსურ დახმარებას.

ამ პრობლემებიდან ნაწილობრივ მოგვარდა. განსაკუთრებით გამოვყოფდი გაზიფიცირების სამუშაოებს, რომლიც დასრულებულია. სამომავლოდ იგეგმება შემდეგი საკითხების გადაჭრა: დაიხურება სტიქიური მოვლენის შედეგად დაზარალებული სამი ოჯახისთვის საცხოვრებელი სახლი, 2 ოჯახს გადაეცემა დაზიანებული იატაკისთვის მასალა. მაგნეტიტში მოეწყობა რკინა ბეტონის გზის საფარი, ასევე დაბაში კულტურის სახლის მიმდებარედ გარე განათების ლამპიონები დაემატება და კულტურის სახლის გაზიფიცირება, გათბობის სისტემის რებილიტაცია. იგეგმება დაბაში ქუჩებისთვის სახელის მინიჭების საკითხის მოგვარება. ადილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულია ე.წ. „უსკაკალიევი“-ს 3 500 გრ.მ გზის პროექტიერება რეაბილიტაცია.

გასული წლის ყველაზე დიდი შენაძენი დაბა ურეკისთვის გახლავთ ახალი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, 130 ბავშვზე გათვლილი, საბავშვო ბაღი. შენობა, რომელიც უახლესი ინვენტარით არის აღჭურვილი, ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით აშენდა. ქართუს მხარდაჭერით აშენდა საბავშვო ბაღი წვერმაღალას დასახლებაშიც. რისთვისაც მადლობა მინდა გადაუხადო ფონდი „ქართუს“ და ბატონ ბიძინა ივანიშვილს.

ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროექტი, დაბა ურეკში უხალოეს პერიოდში მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდება. ეს არის ურეკის ცენტრალურ ნაწილში შესასვლელი გზის რეკონსტრუქცია. ასევე, ითვალისწინებს ტროტუარების მოწყობა და განათებას. პროექტი ბულვარის პარალელურად სანაპიროს პირველი და მეორე ზოლის ქუჩების რეკონსტრუქციას ითვალისწინებს. რეაბილიტაცია გულისხმობს სანაპიროზე ჩასასვლელი საფეხმავლო გზებისა და განათების მოწყობას, ბულვარის გამწვანებას, სკამებისა და სანაგვე ურნების განთავსებას, საზოგადოებრივი სან-კვანძებისა და საშხაპეების მოწყობას, ასევე ეგრედ წოდებული პოლიციის ზოლის მოასფალტება ტროტუარების და გარე განათებების მოწყობა.

აღსანიშნავია რომ წარმატებით დასრულდა დაბა ურეკის სანაპიროზე გასასვლელი ქუჩისთვის ნიკა ქარცივამის სახელის მინიჭების პროცესი, რომლიც წინა მოწვევის საკრებულოს დროს იქნა ინიცირებული. უხალოეს სხდომაზე მოხდება საკითხზე სამართლებრივი აქტის მიღება.

დაბა ურეკში პრობლემები მრავლად რჩება მოსაგვარებელი. დაბას არ აქვს ადმინისტრაციული შენობა და ამბულატორია, მოსაწესრიგებელი არის შიდა გზები სამელორაციო არხების გაუმართაობა უხვი ნალექის დროს იწვევს საცხოვრებელი სახლების და სასტუმროების დატბორვას, სასურველია გაიზარდოს სანაგვე ურნების რაოდენობა, მოსაწესრიგებელია სპორტული მოედანი, დაბას არ აქვს ავტობუსის მოსაცდელეები. ჩამონათვალი შეიძლება კიდევ უფრო დიდი იყოს, თუმცა ეტაპობრივად იგეგმება პრობლემათა გადაჭრა. მთავარია, მოსახლეობის აქტიური ჩართულობა, რათა თქვენი ინტერესების გათვალისწინებით მოხდეს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების ინიცირება. ვიმედოვნებ, 2019 წელს საკრებულოსა და მერიის ერთობლივი ძალისხმევით უფრო მეტი სოციალური თუ ინფრასტრუქტურული საკითხის წარმატებით გადაჭრას შევძლებთ. აქტიურედ მიზიდინარეობს დაბა ურეკის საჯარო სკოლის სამომავლო რიაბილიტაციის პრობლემის მოგვარება.

ბოლოს მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს კოლეგებს საკრებულოში, ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილებებისთვის, რომლებიც მუნიციპალიტეტის კეთილდღეობას ემსახურება და საკრებულოს აპარატს, ჩემი უფლებამოსილების განხორციელებისას გაწეული თანადგომისთვის.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრი

გოჩა მდინარაძე

13.02.2019 წ.